შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com

12.09.2017 № 07-08-29
თქვ. № _____

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, მ. მესხის ქ. №15,
ნაკვ. № 055/040

დასკვნის შედგენის საფუძველი: ხელშეკრულება 01.09.2017 წ

ობიექტის დასახელება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

დაწყებულია: 05 სექტემბერი 2017 წელი

დასრულებულია: 10 სექტემბერი 2017 წელი

ვამტკიცებ,
შენობა ნაგებობათა კვლევის
და ექსპერტიზის ცენტრი
დირექტორი რ.ცხვედაძე
თბილისი
2017 წლის 12 სექტემბერი

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მ. მესხის ქ. №15-ში აშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ექსპერტიზა

თბილისი
2017 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები- 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები- - - - - - - - - - - - - - - 3
3. გამოყენებული ხელსაწყოები- 4
4. კვლევითი ნაწილი- 5
5. დასკვნა- 7

ინსპექტირების შემსრულებლები

ექსპერტი: *გივი დანელია*

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
2. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);
3. СНиП II - 23-81 „Стальные конструкции“;
4. СНиП II 21 - 75 „приложение 5“.

საექსპერტოდ დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

ა) ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მ. მესხის ქ. №15-ში აშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების ელექტრონული ვერსია „pdf" ფაილები;

დამკვეთის დავალების საფუძველზე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შესამოწმებელია, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მ. მესხის ქ. №15-ში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

კვლევითი ნაწილი:

შენობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია შპს “ჯორჯიანამერიკან დეველოპერები” საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების

განყოფილების სპეციალისტების მიერ 2013 წლის მაისში, ინჟ.გეოლოგი გ. ჭოხონელიძე. აღნიშნულ ობიექტზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარდა ტერიტორიის საინჟინრო პირობებისშესწავლისა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

სამშენებლო მოედნის ფარგლებში გაითხარა 2 შურფი 3 მ სიღრმით თითოეული და ჩაიბურღა ხელის ბურღით 6 მეტრამდე. საერთო სიღრმით 12.0 გრძ.მ. ანგარიშში მოცემული შურფების ამგები გრუნტები შედგება 2 ფენისაგან, რომელთაგან ფენა-2 გამოიყოფა როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რაც გამართლებულია დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან და უბნის გეოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე. შურფებიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადგენილია გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები როგორც ბუნებრივი ტენიანობის, ასევე წყალგაჯერებული მდგომარეობისათვის. მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებისა და გრაფიკების სახით. უბანზე შურფებში გრუნტის წყალი გამოვლენილი არ იქნა.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ მიწის ზედაპირიდან 0.6-0.8 მეტრზე გავრცელებულია სუსტი აგებულების ტექნოგენური გრუნტი (ფენა-1). მის ქვემოთ გამოკვლეულ სიღრმემდე გავრცელებულია თიხნარი, მყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუშით. ნიმუშები გამოცდილია ძვრაზე და კომპრესიაზე. კვლევის შედეგები მოცემულია გრაფიკების სახით დანართში და ჯამურ უწყისში ცხრილის სახით. გრუნტების მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით.

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში არის ორთოგრაფიული ხასიათის ხარვეზები, აგრეთვე ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. მაგალითად დასკვნაში 245კგ/სმ^2 მითითებულია როგორც საანგარიშო წინაღობა, უნდა იყოს დეფორმაციის მოდული. ავტორი მიუთითებს, რომ კომპრესიული გამოცდის შედეგები იძლევიან რეალურთან შედარებით შემცირებულ მნიშვნელობებს, ეს მოსაზრება აღნიშნულია ტექნიკურ ლიტერატურაშიც, ამიტომ ავტორი გრუნტის დეფორმაციის რიცხვით მნიშვნელობას იღებს არა გამოცდის შედეგად

მიღებულს, არამედ ნორმებში მოცემული ცხრილებიდან. ლოგიკურად ისმის კითხვა, რა საჭირო იყო კომპრესიული ცდების ჩატარება? აღნიშნული შენიშვნები გავლენას ვერ ახდენენ საერთოდ ნაშრომის ავკარგიანობაზე. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია კვალიფიციურად და ნაშრომი იმსახურებს დადებით შეფასებას.

საბოლოოდ მოცემულია სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები. რეკომენდებულია შენობის საძირკვლად გამოყენებული იქნეს მთლიანი რკინაბეტონის ფილა. ასეთი გადაწყვეტილება სავსებით მისაღებია ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და შენობის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე.

დასკვნა:

მიგვაჩნია, რომ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია მაღალ დონეზე, კვალიფიციურად, პასუხობს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და რეკომენდაცია ეძლევა გამოყენებისათვის პროექტირებაში.

ექსპერტი:

პროფესორი, საექსპერტო გამოცდილება 20 წ

შრომითი მოღვაწეობის სტაჟი 55 წ გივი დანელია